28/05/2019

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ნიქოზში

ა.წ. 26 მაისს ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას (ჭანტურია) ლოცვა-კურთხევითა და საქართველოს საპატრიარქოს წმ. გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტის ორგანიზებით სოფელ ნიქოზში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა.

ნიქოზის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა მეუფე ისაიამ უნივერსიტეტის რექტორ, არქიმანდრიტ იოანესთან (კიკვაძე) და ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ საეპისკოპოსო რეზიდენციაში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტებმა და ფონდ „ქართული გალობის“ სოფელ ნიქოზის ბავშვთა გუნდმა.

უკვე მეორე წელია, რაც გალობის უნივერსიტეტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს სიმბოლურად საოკუპაციო ხაზთან აღნიშნავს.

patriarchate.ge